



დურგალი - 040952

Joiner

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: დურგალი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დურგლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

III. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1500 საათი.

აქედან:

30 კრედიტი (750 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი-465; დამოუკიდებელი-213, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 72);

30 კრედიტი (750 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

IV. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის დურგალი, რომელიც შეძლებს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით დამოუკიდებლად განახორციელოს ხის მასალის დამზადება, გაზომვა, აწყობა, გადაკვრა, შეწებება, შეკეთება, აღდგენითი და სხვა სამუშაოების შესრულება. ავეჯის, სამშენებლო კონსტრუქციების და მერქნის სხვა ნაკეთობების დამზადების სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი ხის დამამუშავებელი ჩარხ-დანადგარების, ხელის (მექანიკური, პნევმატური და ელექტრო) იარაღების კვალიფიციური შერჩევა-გამოყენება. ექნება ხის დამამუშავების ტექნოლოგიის, ტექნიკური გაზომვების, აწყობის ტექნოლოგიური სქემების, ძირითადი და დამხმარე მასალების მახასიათებლებისა და თვისებების რაციონალურად გამოყენების, მერქნული ნედლეულის ხარისხის განსაზღვრის და საბოლოო პროდუქციის ხარისხის შეფასების უნარ-ჩვევები.

VII. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p> <p>შეუძლია თანამედროვე ხის დასამუშავებელი მანქანა-დანადგარებით და პოზიციური მანქანა-იარაღებით მუშაობა. აანალიზებს წუნისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზებს და მონაწილეობს მათი აღმოფხვრისათვის დაგეგმილი ღონისძიებების შემუშავებაში. ახდენს ტექნოლოგიური პროცესების მატერიალური დანახარჯების ნორმატივების განგარიშებას.</p> <p>შეუძლია ხის დამამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური განგარიშება. ადგენს ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო ნედლეულისა და დამხმარე მასალების სპეციფიკაციას, მათ ღირებულებას</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>

	<p>შეუძლია ხის დამუშავების ინჟინერიის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად. ატარებს ნაკეთობის სარესტავრაციო და სარემონტო სამუშაოებს.</p>
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p> <p>შეუძლია წარმოებაში წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად ტექნოლოგიური ციკლის ფუნქციონირების მახასიათებლების დადგენა. აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების სტანდარტული მეთოდებით ამოცნობის და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გამოტანის უნარი.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p> <p>აქვს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის კარგი უნარი და შეუძლია გუნდის ეფექტური მართვა; ახორციელებს ურთიერთობას გუნდსა და საწარმოს ადმინისტრაციას შორის.</p> <p>შეუძლია მშობლიურ და ერთ-ერთ უცხოურ ენაზე სრულყოფილი კომუნიკაცია. ეფექტურად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p> <p>შეუძლია შემდგომი განათლების მიღების მიმართულების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. ფლობს უახლესი ინფორმაციის გადაამუშავების მეთოდებს პროფესიული ინტერესების გასაღრმავებლად და სამუშაო პროცესში დასანერგად. შეუძლია გაითავისოს და მართოს ინოვაციური იდეების დანერგვის პროცესი</p>
ღირებულებები	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p> <p>მონაწილეობს მასალების ხარჯისა და შრომატევადობის შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების რეალიზაციაში. აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება პროდუქციის ხარისხის მიმართ და იგივეს მოითხოვს სხვა თანამშრომლებისგან. აქვს არასტანდარტულ სიტუაციაში ადაპტაციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. განვითარებული აქვს სივრცითი წარმოსახვის უნარი;</p>

VIII. დასაქმების სფერო: პროფესიონალი დურგალი მზადაა შეასრულოს მისი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო როგორც სახელმწიფო ხის დასამუშავებელ საწარმოში, რომელიც დაკავებულია საავიჯო და სამშენებლო ნაკეთობების წარმოებით, ასევე ნებისმიერ კერძო საწარმოსა და უცხოურ ფირმაში. შესაძლებელია თვითდასაქმება და ინდივიდუალური მეწარმეობა.

IX. სწავლის შედეგების რუკა:

კოდი	საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულე ბები
PRSHF05	მერქანმცოდნეობა და სატყეო საქონელმცოდნეობა	x	x	x		x	x
PRTCW05	დახერხილი ხე-ტყის ტექნოლოგია	x	x	x		x	x
PRTCM05	კომპოზიციური მასალების ტექნოლოგია	x	x	x	x	x	x
PRCTM05	მერქნული მასალების ჭრით დამუშავება, იარაღები და მოწყობილობა	x	x			x	
PRTEW05	მერქნული მასალების ნაკეთობათა ტექნოლოგია	x	x	x	x	x	x
PREGR05	საინჟინრო გრაფიკა	x	x			x	x
INF1P08	ინფორმატიკა	x	x		x		
ENG4P07	ინგლისური ენა	x	x		x		
BAOEN05	მეწარმეობის საფუძვლები	x	x	x			

X. სასწავლო გეგმა:

კოდი	სასწავლო კურსები/ მოდულები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები						
			ლექცია/პრაქტიკული/სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
PRSHF05	მერქანმცოდნეობა და სატყეო საქონელმცოდნეობა	5	15/15		75		6/2	12	125
PRTCW05	დახერხილი ხე-ტყის ტექნოლოგია	10	15/15	30	180		6/2	2	250
PRTCM05	კომპოზიციური მასალების ტექნოლოგია	5	15/		90		6/2	12	125
PRCTM05	მერქნული მასალების ჭრით დამუშავება, იარაღები და მოწყობილობა.	10	15/	15	90	120	6/2	2	250
PRTEW05	მერქნული მასალების ნაკეთობათა ტექნოლოგია	10	15/15	15		195	6/2	2	250
PREGR05	საინჟინრო გრაფიკა	5	45/60				6/2	12	125
INF1P08	ინფორმატიკა	5	/60				6/2	57	125
ENG4P07	ინგლისური ენა	5	/60				6/2	57	125

BAOEN05	მეწარმეობის საფუძველები	5	30/ /30				6/2	57	125
	სულ	60	405	60	435	315	72	213	1500

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1.საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2.საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება -2სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება -2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

3.საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება -2სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება -2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა):

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება:

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - მაღიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება.

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- წერიითი დავალება
- ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 1, დანართი 2))

XIII. სწავლების ფორმები:

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ვერბალური, პრაქტიკული, ლაბორატორიული, ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ანალიზის მეთოდი; გონებრივი იერიში, ევრისტიკული მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანური რესურსების შესახებ:

კოდი	კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
PRSHF05	მერქანმცოდნეობა და სატყეო საქონელმცოდნეობა	მარინა ტეფნაძე	ხის დამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგი
PRTCW05	დახერხილი ხე-ტყის ტექნოლოგია	ვახტანგ აბაიშვილი	ხის დამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგი
PRTCM05	კომპოზიციური მასალების ტექნოლოგია	პეტრე დუნდუა	მერქნის მექანიკური დამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგი
PRCTM05	მერქნული მასალების ჭრით დამუშავება, იარაღები და მოწყობილობა	ზაურ ჩიტიძე	ინჟინერ-მექანიკოსი
PRTEW05	მერქნული მასალების ნაკეთობათა ტექნოლოგია	ბორის ბოქოლიშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი
PREGR05	საინჟინრო გრაფიკა	ბაციკაძე იოსები	ინჟინერ-მექანიკოსი
INF1P08	ინფორმატიკა	ნიჟარაძე მზიანა	მათემატიკოსი
ENG4P07	ინგლისური ენა	ჩხეიძე ანა	ინგლისური ენის მასწავლებელი
BAOEN05	მეწარმეობის საფუძვლები	გიორგი მაისურაძე	ეკონომისტი

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დურგლის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა :

- სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები მდებარეობს სტუ-ს პირველ კორპუსში. აღჭურვილია დურგლის პროფესიის მისაღებად საჭირო ხელსაწყოებით, ჩარხ-დანადგარებით, კომპიუტერებით, თვალსაჩინო და სადემონსტრაციო მასალებით.

XVI. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა:

(იხ. დანართი 3)

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის

შესაბამისად

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

მარინა ტეფნაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

მიღებულია

მოდული/ფირმული სახით

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 1. 20.09.2013 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური